სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“

ანგარიში ორგანიზაციის მიერ 2016 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

შეთანხმებული პროცედურების შესრულებით

აპრილი, 2017 წ.

დამოუკიდებელი მარწმუნებელი ანგარიში

სსიპ-ის „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ ხელმძღვანელობას

1. განსახილველი საკითხი

ჩავატარეთ სსიპ-ის „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 204858163, რეგისტრირებული 1991 წლის 29 ივლისს, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, მერაბ კოსტავას ქ. N68) (შემდგომში „ორგანიზაცია“) მიერ 2016 წლის განმავლობაში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის მიზანია, დავრწმუნდეთ, რომ ორგანიზაციის მიერ 2016 წლის განმავლობაში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

2. განსახილველი საკითხის შეფასების კრიტერიუმები

ორგანიზაციის მიერ 2016 წლის განმავლობაში განხორციელებული შესყიდვების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა გულისხმობს, რომ განხორციელებული შესყიდვები შეესაბამება:

ა) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონს;

ბ) „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებულ „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესს“;

გ) „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებულ „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესს“;

დ) „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანებით დამტკიცებულ „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესს“ და

ე) სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ სხვა ნორმებს.

3. ორგანიზაციის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ორგანიზაციის მიერ შესყიდვების განხორციელება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არის ორგანიზაციის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა. ეს გულისხმობს ისეთი შიდა კონტროლის სისტემების შემუშავებას, დანერგვას და გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფას, რომელიც საშუალებას იძლევა, ყველა შესყიდვა განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ეს პასუხისმგებლობა აგრეთვე გულისხმობს შესყიდვების გეგმების და ბიუჯეტის სწორად მომზადებას და მათი დროული განახლებების უზრუნველყოფას.

ორგანიზაციის ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია შემოწმების პროცესში ჩვენთვის მოწოდებული დოკუმენტაციის წარმომავლობაზე და კანონიერებაზე, აგრეთვე ჩვენს მიერ ჩატარებულ შემოწმებასთან დაკავშირებით მოთხოვნილი ინფორმაციის სრულად და დროულად წარმოდგენაზე.

4. აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩავატაროთ ორგანიზაციის მიერ 2016 წლის განმავლობაში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტი და გამოვთქვათ ჩვენი დამოუკიდებელი პროფესიული მოსაზრება იმის შესახებ, იყო თუ არა „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ 2016 წლის განმავლობაში განხორ-ციელებული სახელმწიფო შესყიდვებისას დაშვებული არსებითი შეუსაბამობები მოქმედ კანონმდებლობასთან და იმ კრიტერიუმების მიხედვით რაც აღწერილია ამ ანგარიშის მე-2 პუნქტში.

შემოწმება ჩავატარეთ მარწმუნებელი გარიგების საერთაშორისო სტანდარტ 4400-ის შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტი მოითხოვს გარიგების იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული, მაგრამ არა აბსოლუ-ტური რწმუნება განსახილველი საკითხის შესახებ.

ჩვენ არ ვართ პასუხისმგებელი ორგანიზაციის და მასთან სამეურნეო ოპერაციებში მონაწილე საწარმოთა დოკუმენტების წარმომავლობაზე და იმ ინფორმაციაზე, რომელიც არ იქნა წარმოდგენილი ორგანიზაციის მიერ ამ დასკვნის მომზადებამდე და შესაბამისად, რომლის გათვალისწინებაც შეუძლებელი იყო სამუშაოს შესრულებისას.

5. შესრულებული სამუშაოს მოკლე მიმოხილვა

მოვიპოვეთ ორგანიზაციის მიერ შესამოწმებელ პერიოდში განხორციელებული შესყიდვების სია. აგრეთვე მოძიებულ იქნა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული დოკუმენტაცია და მონაცემები.

2016 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმამ შეადგინა სულ 5,825,654 ლარი.

2016 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული სახსრებით გამოცხადებულ იქნა სულ 114 ტენდერი, მათ შორის 64 გამარტივებული ელექტრონული ტენდერი და 50 ელექტრონული ტენდერი. 10 ტენდერი არ შედგა, 2 ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით, 1 ტენდერი შეწყდა. ტენდერების შედეგად გაფორმდა სულ 101 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.

განსაზღვრული მეთოდოლოგიის მიხედვით შევარჩიეთ მსხვილი, უჩვეულო ან ჩვეულებრივზე შეზღუდულ ვადებში განხორციელებული შესყიდვების პროცედურები, აგრეთვე სხვა შესყიდვების განხორციელების პროცედურები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით პოტენციურად რისკის შემცველად მივიჩნიეთ. განსახილველი შესყიდვების შერჩევა განვახორციელეთ ისეთნაირად, რომ ჩატარებული პროცედურების შედეგად მიგვეღო საკმარისი აუდიტორული მტკიცებულებები განსახილველი საკითხების დასადასტურებლად. ჩვენ დეტალურად შევისწავლეთ შერჩეული შესყიდვების განხორციელების პროცედურებში არსებული დოკუმენტაცია და განვიხილეთ, რამდენად შეესაბამებოდა შესყიდვის პროცესი და შესაბამისი დოკუმენტაცია დადგენილ მარეგულირებელ მოთხოვნებს.

ჩვენ შევამოწმეთ სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის, წინამოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებისა და სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

აუდიტის პროცესში განვახორციელეთ ორგანიზაციის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული დოკუმენტაციის ანალიზი, ჩავატარეთ გასაუბრებები ორგანიზაციის შესაბამის პერსონალთან და შერჩევით გავეცანით იმ დოკუმენტაციას, რომელიც ატვირთულია სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში, ასევე მოვისმინეთ არგუმენტაციები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

6. დასკვნა განსახილველ საკითხზე

ჩვენი მოსაზრებით „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ 2016 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული სახელმწიფო შესყიდვები განხორციელებულია მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისად, არსებითი საკითხის გათვალისწინებით იმ კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც აღწერილია წინამდებარე ანგარიშის მე-2 პუნქტში.

დოკუმენტის დასასრული

* * * * *

PKF Georgia

PKF Georgia LLC
Address: 61, D. Aghmashenebeli av., Tbilisi, 0102, Georgia
Tel: +995 32 2 24 30 30 | 2 24 30 31
Fax: +995 32 2 93 57 94 | E-Mail: pkf@pkfgeorgia.com | URL: www.pkfgeorgia.com

PKF Georgia is a member firm of the PKF International Limited network of legally independent firms and does not accept any responsibility or liability for the actions or inactions on the part of any other individual member firm or firms.